საქართველოს საბჭოთა საქართველო

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი № 188 (13880) | შაბათი, 12 აგვისტო, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

შენთვის, საშუბლოვ!

ჰარგან არის ცნობილი ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს კოლმეურნეობის წევრების რამინ და ოლოა ზარანდიების ოჯახი. მათ 17 შვილი ჰყავთ. ამ ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს წელს მოკრიფონ 15 ტონა ჩაის ფოთოლი. უკვე მოკრეფილი აქვთ 8 ტონა.

სურათზე: რამინ ზარანდიას ქალიშვილი მერი, რომელიც ჩაის კრეფის დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა. (საქ. დესის ფოტოქრონიკა).

გარდამავალი წითელი დროშები — გამარჯვებულთ

რესპუბლიკის ბევრი საწარმოს კოლექტივებმა, რომლებიც ჩაბმული არიან შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, დიდი წარმატებანი მოიპოვეს მეორე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს კოლეგიამ და საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს **გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიანიჭეს № 2 საბზაო-საექსპლოატაციო უბნის კოლექტივს.**

მეორე ფულადი პრემია დაიმსახურა № 28 საბზაო-საექსპლოატაციო უბნის კოლექტივმა, **მესამე პრემია — № 12 საბზაო-საექსპლოატაციო უბნის კოლექტივმა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს კოლეგიისა და საქართველოს ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა საქმთავარენერგოს თბილისის ელექტრომსელის კოლექტივს.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოსა და საქართველოს ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის **გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები მიენიჭათ საქმთავარენერგოს ხრამჰესის № 5 კასკადისა და თბილისის ცენტრალურ ელექტრომექანიკურ სახელოსნოთა კოლექტივებს.**

მეორე ფულადი პრემიები დაიმსახურეს საქმთავარენერგოს ბათუმის ელექტროქსელისა და ზაჰესის № 1 კასკადის კოლექტივებმა, **მესამე პრემიები მიიღეს საქმთავარენერგოს სოხუმისა და ჟუთაისის ელექტროქსელის** კოლექტივებმა.

(საქდესი).

ტაჯიკეთის დღეები მოსკოვში

ნაზი და კოხტა ტიტა ტაჯიკებში გაზაფხულის, სიკეთის, განახლების სიმბოლოა. სწორედ ამიტომ იყო, რომ მზიური მხარის წარმომადგენლებმა საზეიმო კონცერტი მოსკოვში, რომელიც 10 აგვისტოს გაიმართა, გახსნეს სიუიტით „ტიტების დღესასწაული". გაისმა კარნაის ჰანგები და სცენაზე გამოჩნდნენ შავთმიანი ნაწნავიანი ქალიშვილები და ჭაბუკები ყვავილებით ხელში.

ტაჯიკური ხელოვნების წარმომადგენლებს მიესალმა აკადემიური მცირე თეატრის მთავარი რეჟისორი რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ევგენი სიმონოვი. სიტყვაზე გამოვიდა ტაჯიკეთის სსრ სახალხო არტისტი გაფარ ვალამათ ზადე.

...ლეგენდებით მოცული ტაჯიკეთი ძველი და თავისთავადი კულტურის მხარეა. მსოფლიო პატივს სცემს მის დიდ პოეტებს — რუდაქის, ფირდოუსის, ჯამის. მათი ტრადიციები ახლაც ცოცხლობს თანამედროვე პოეტების, მუსიკოსების, მოცეკვავეების, მომღერლების ხელოვნებაში. იგი ფართო და მრავალფეროვანია — დაირისა და კარნაის რიტმებია ეს, თუ თანამედროვე ოპერების პოლიფონია, ნაწესჩვეულებო ცეკვები, თუ მრავალპლანიანი ქორეოგრაფიული სპექტაკლები. და მთელი ეს სიმდიდრე ღირსეულად იყო წარმოდგენილი მოსკოვში გამართულ საზეიმო კონცერტზე. (საკდესის კორ.).

პირობა შეასრულეს

დონეცკი. საიუბილეო სამახსოვრო დრონისათვის ბრძოლაში ჩაებნენ „კრასნოარმეისკქვანახშირის" ტრესტის მაღაროელები, რომლის ყველა შახტმა უკვე შეასრულა სოციალისტური ვალდებულებანი — გეგმის გადამეტებით ამოიღო 220 ეშელონი ქვანახშირი. მუშათა კრებებზე საწარმოთა კოლექტივებმა გადასინჯეს ადრე ნაკისრი ვალდებულებანი და გადაწყვიტეს დავალების დამატებით ამოღონ კიდევ 30 ათასი ტონა ქვანახშირი, ხოლო ეკონომიის ანგარიში, რომელმაც უკვე 431 ათას მანეთს მიაღწია, ნახევარ მილიონამდე გაადიდონ.

სმოლენსკი. სმოლენსკის ოლქის საწარმოებმა მიმდინარე წლიდან გეგმის დამატებით გამოუშვეს თითქმის 13 მილიონი მანეთის პროდუქცია. საიუბილეო ვალდებულებებით, დავალების გადამეტებით ასეთი რაოდენობის ნაწარმის გამოშვება ნავარაუდევი იყო დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის.

ზაპოროჟიე. ზაპოროჟეოლადის მარტენის საამქროს მეფოლადეებმა ქარხანაში პირველებმა შეასრულეს ვადამდე დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის ნაკისრი ვალდებულებანი. წლის დამდეგიდან მათ გეგმის გადამეტებით გამოადნეს თორმეტი ათასი ტონა ლითონი.

ორჯონიკიძე. ჩრდილოეთ ოსეთის რაიონალიზატორებმა და გამომგონებლებმა წლის დამდეგიდან წარმოებაში დანერგეს ბევრი საყურადღებო წინადადება და გამოგონება, რის შედეგადაც დაიზოგა ათ მილიონ მანეთზე მეტი. საიუბილეო ყულაბაში მნიშვნელოვანი წვლილი შეტანეს ორჯონიკიძის მინისტრისა და ეზოლატორის ქარხნის ნოვატორებმა. ამ საწარმოში ყოველი მერვე მუშა რაციონალიზატორი და გამომგონებელია. ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით შეასრულეს ქარხანა „პობედიტის" ნოვატორებმა. რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელების შედეგად პირობითმა წლიურმა ეკონომიამ აქ 150 ათას მანეთს მიაღწია, რაც გეგმაზე 43 ათასით მეტია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

წარმატებებისათვის, რომლებიც მოიპოვეს მიგატ-ბეინეუ-შეეჩენეოს რკინიგზის ხაზის მშენებლობაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 11 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა ამ რკინიგზის ხაზის მშენებლობის 250 მონაწილე.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 12 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 31, „საპატიო ნიშნის" ორდენით — 82, მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — 63 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 62 კაცი.

ლენინზე, რევოლუციაზე

ლენინგრადის ქარხანა „კოორდმა" გამოუშვა ფირფიტების ახალი სერია „ლენინიანა". ალბომი შედგება ორი ხანგრძლივსაკრავი ფირფიტისაგან და ეწოდება „ვ. ი. ლენინის ცხოვრების ფურცლები".

ილიჩის, როგორც რევოლუციონერის, მოაზროვნის, ბელადის, „ყველაზე ადამიანური ადამიანის" სახეს წარმოგვიდგენენ ნ. კ. კრუპსკაიას, ე. მ. იაროსლავსკის, ვ. დ. სტასოვას, ფ. ი. კონინის, ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩის, ვ. ა. კარპინსკის, მ. ი. კალინინის, გ. კ. ორჯონიკიძის, გ. მ. კრჟიჟანოვსკის მოგონებანი.

კომპოზიციის მეორე გაყოფილება, რომელიც ერთ საათს გრძელდება, ეძღვნება 1917 წლის ოქტომბრის დღეებს, საბჭოთა სელისუფლების პირველ ნაბიჯებს. აქ შევიდა ფონოგრამები ფილმებისა „ლენინი ოქტომბერში" — „ლენინი 1918 წელს", „მოთხრობები ლენინზე". რევოლუციის მუსიკალური პანორამა ცოცხლდება დ. შოსტაკოვიჩის მეთორმეტე და მეთორმეტე სიმფონიების ფრაგმენტებში. სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ასტანგოვი კითხულობს ნაწყვეტებს ვ. მაიაკოვსკის პოემიდან „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი".

კომპოზიციაში შედის აგრეთვე მუსიკალური ნაწამოებები, რომლებიც ილიჩს უყვარდა. ესენია ბეთჰოვენის „აპასიონატა" (ასრულებს სვიატოსლავ რიხტერი), ნაწყვეტი პ. ი. ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიიდან, მ. ი. გლინკას რომანსები, რევოლუციური სიმღერები „ვარშავიანკა" და „ამხანაგებო, წინ, წინ გასწით!".



ოლიმპიადა

პატრიოტთა სიცოცხლე საფრთხეშია

საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც კეთილი ნების ყველა ადამიანს მოუწოდებს ადიმადღლოს ხმა სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის პატრიოტთა დასაცავად, აფრიკის მიწაწყალზე რასიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ.

სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის სახალხო ორგანიზაციის 37 თვალსაჩინო მოღვაწის სიცოცხლე საფრთხეშია, ნათქვამია განცხადებაში. ზოგიერთი მებრძოლი უკვე დიდი ხანია გაუსამართლებლად და გამოუძიებლად იტანჯება სამხრეთ აფრიკის საპატიმროთა ჯურღმულებში. ფორსტერის რასისტული რეჟიმი საერთაშორისო რეაქციის მხარდაჭერით, თავხედურად ფეხქვეშ თელავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს სამხრეთ-დასავლეთი აფრიკისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, ცდილობს ყოველნაირი საშუალებით განიმტკიცოს კოლონიალისტური პოზიციები ამ უკანონოდ დაპყრობილ ქვეყანაში.

მსოფლიოს საბჭოთა ადამიანის სახელით კომიტეტი გულისწყრომით გმობს ფაშისტურ ტერორს, რომელიც რასისტებმა გააჩაღეს სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის წინააღმდეგ, მოითხოვს სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის სახალხო ორგანიზაციის მოღვაწეთა სასამართლო დევნის შეწყვეტას და მათს დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. (საკდესი).

თავს დაესხნენ ბაზას

ჰანოი, 11 აგვისტო. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის მებრძოლები, რომლებიც ბინეჰოის პროვინციაში მოქმედებენ, 27 ივლისს გაბედულად დაესხნენ თავს ამერიკის ფუოკვინის სამხედრო ბაზას.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ამ თავდასხმის დროს სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა დახოცეს და დაჭრეს 500-ზე მეტი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე.

ნიგერიის ამბები

ლაგოსი, 11 აგვისტო. (საკდესი). აქ ნიგერიის ფედერალური სამხედრო მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შუა დასავლეთის შტატის ცენტრალური ქალაქი ბენინი მეამბოხე ელემენტთა ხელშია. მეამბოხეებმა, თქვა მან, იარაღი აბუარეს პოლიციასა და ფედერალური მთავრობის ერთგულ ჯარებს.

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო. (საკდესი). ნიგერიის აღმოსავლეთ ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაბომბეს ქალაქი კადუნა (ჩრდილოეთი ნიგერია). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ლაგოსელი კორესპონდენტი იუწყება, კადუნაში არის მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობას შორის, დანგრეულია რამდენიმე შენობა.

აფრიკელთა ზურგსუკან

ლონდონი, 11 აგვისტო. (საკდესი). ინგლისის მთავრობა განაგრძობს მეცადინეობას, რათა მიაღწიოს შეთანხმებას სმიტის რასისტულ რეჟიმთან. ინგლისის მთავრობამ საპასუხო წერილი გაუგზავნა სმიტს, და ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ცდილობს შეუთანხმდეს რასისტებს როდეზიის აფრიკელი მოსახლეობის ზურგსუკან.

მომოწერის შინაარსს საიდუმლოდ ინახავენ. ეს გასაკვირი როდია: დიდ ბრიტანეთს არ უნდა იხტიბარი გაიტეხოს. სმიტი მოითხოვს დაუყოვნებლივ ცნონ როდეზიის „დამოუკიდებლობა", რასაც ინგლისი საჯაროდ ვერ დაეთანხმება, რადგანაც სამართლიანად ეშინია, რომ მკვეთრად გაუუარესდება ურთიერთობა ერთა თანამეგობრობის აფრიკელ წევრებთან.

ახალი პარტია ინდონეზიაში

ლონდონი, 11 აგვისტო. (საკდესი). ინდონეზიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა გენერალმა სუხარტომ მოიწონა ახალი პოლიტიკური პარტიის—ინდონეზიის მუსლიმანთა პარტიის შექმნა. როგორც რეიტერის სააგენტოს ჯაკარტელი კორესპონდენტი იუწყება, კადუნაში არის მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობას შორის, დანგრეულია რამდენიმე შენობა.

ოლიმპიადა

სპორტსმენთა დიდი დღესასწაული

ფიზკულტურელის საკავშირო დღე, რომელსაც ჩვენს თვალწინ სამხედროში დღესასწაულობენ, წელს საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში აღინიშნება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უმაგალითოდ აყვავდა ეკონომიკა, მეცნიერება, კულტურა, მათ შორის ფიზიკური კულტურაც, რომლის განვითარებას კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდმივ ყურადღებას უთმობენ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს ქვეყანაში დიდი რაოდენობით აშენდა სტადიონები, ტანვარჯიშული დარბაზები, წყალჯომარდობისა და სათხილამურო სადგურები, საცურაო აუზები და სხვა სასპორტო ნაგებობანი.

მომზადებულია სპორტის სხვადასხვა სახეობის მასწავლებელთა, მწვრთნელთა და ინსტრუქტორთა მრავალრიცხოვანი კადრები. ჩვენი ქვეყნის საწარმო-დაწესებულებებში, სასწავლებლებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში შექმნილია ფიზკულტურის ახალი კოლექტივები, რომლებიც 50 მილიონზე მეტ ფიზკულტურელს აერთიანებენ.

ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაცია ზედიზედ მერვედ არის დაჯილდოებული სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით.

გასული წლის შედეგების მიხედვით ასეთივე საპატიო ჯილდო დაიმსახურეს სპორტკავშირის თბილისის საქალაქო საბჭომ და ნებაყოფლობითმა სასოფლო სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნემ". რაც შეეხება ჩვენი რესპუბლიკის სასპორტო საზოგადოებებს „დინამოს", „ბურევესტნიკს", „ლოკომოტივს", „სპარტაკს", „განთიადს", „შრომით რეზერვებს", ისინი დაჯილდოებული არიან სათანადო ცენტრალური საბჭოების დროშებითა და საპატიო სიგელებით.

დღეს, ფიზკულტურელის დღეს, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაზე, რომელიც ახლახან დამთავრდა. ჩვენი რესპუბლიკის სპორტული დელეგაცია კვლავ წარმატებით გამოვიდა საბჭოთა სპორტის ამ გრანდიოზულ ფორუმზე და თბილისში ჩამოიტანა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი პრიზი. მეხუთე ადგილი, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ სპარტაკიადაზე, უნდა შეფასდეს როგორც ჩვენი სპორტსმენების დიდი გამარჯვება. მართალია, წინა სამ სპარტაკიადაზე ჩვენ ასევე მეხუთე ადგილზე ვიყავით, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამჯერად ბრძოლა განსაკუთრებით შეუპოვარი იყო.

ახლა ყველაფერი უკან მოვიტოვეთ, მაგრამ რამდენი მღელვარება მოჰქონდა სპარტაკიადის თვითეულ დღეს. მოსკოვის სტატების ფართო პროგრამიდან განსაკუთრებით დაგვახსოვდა შეჯიბრება ნიჩბოსნობაში ბაიდარებითა და კანოეებით. ჩვენმა ნიჩბოსნებმა ევროპის ჩემპიონატის პრიზიორ ა. მატკაბაძის მეთაურობით აიღეს სტატი და პირველი ჩასათვლელი ქულები მოუტანეს გუნდს — 12 ქულა მეექვსე ადგილისათვის. ხოლო სპორტის ოსტატებმა ბ. მსეიძემ, ვ. პოკრშნენკომ ბაიდარით (ორაანი) ნიჩბოსნობაში (1000 მეტრი) მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

ნიჩბოსნებს მიჰყვნენ საგზატკეცილო ველოსიპედისტები, რომლებმაც სტარტი სიმფეროპოლში აიღეს. მრავალდღიანი ველოსიპედოლის დაწყისში გაგვახარა ჩვენი გუნდის ლიდერმა შ. ჯუღაშვილმა, რომელიც პირველ ეტაპზე გამარჯვებულ ესტონელ ო. ულმას მეტად მცირე მანძილით ჩამორჩა, მაგრამ შემდეგში თავი იჩინა ახალგაზრდა ველოსიპედისტმა, რის შედეგად წინანდელი წარმატება აღარა გვქონდა.

ამასობაში სპარტაკიადაზე დაიწყო ფრენბურთელთა და კალათბურთელთა შეხვედრები. პირდაპირ ვიტყვი, არც პირველთა და არც მეორეთა შედეგებით კმაყოფილი არა ვართ.

ხოლო თუ ვილაპარაკებთ ქართველ სპორტსმენთა წარმატებებზე, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ჩვენი თავისუფალი სტილის მოჭიდავენი, რომლებმაც სპარტაკიადის დახურვის წინ გაახარეს საქართველოს სპორტის მოყვარულნი.

პირველი ადგილი, რაც მათ გუნდურ ჩათვლაში დაიკავეს, ჩვენი სპორტსმენების დღემდე არნახული გამარჯვებაა სპარტაკიადების მთელი ისტორიის მანძილზე. ქართველი თავისუფალი სტილის მოჭიდავენი წარმატებით გამოვიდნენ თითქმის ყველა წონითს კატეგორიაში, ხოლო ქვემძიმე წონაში შ. ლომინაძემ სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა და გამარჯვებულის ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. ძლიერად გამოვიდნენ მოსკოვში ხალიჩის ისეთი ოსტატებიც, როგორიც არიან ბ. სპარაძე, ზ. ბერიაშვილი, ა. ცხოვრებიშვილი, ს. ქარსაულიძე და სხვები.

კლასიკურ ჭიდაობაში ოქროს მედლები მოიპოვა მჩატე და ქვემსუბუქი წონის ჩვენმა ორმა მოჭიდავემ — ო. ფბაძემ და რ. რუნაძემ. საშუალო წონაში ო. ბლიაძე მეორე ადგილზე გამოვიდა, ხოლო კლასიკურ მოჭიდავეთა გუნდმა მეოთხე ადგილი დაიკავა.

სპარტაკიადის უკანასკნელ დღეს ბევრი მაყურებელი დაესწრო ა. მიტრეველის ფინალურ ორთაბრძოლას მოსკოველ ჩოგბურთელ ვ. ვეზორეკთან. და საქმე მარტო ის კი არ არის, რომ მოსალოდნელი იყო ჩოგბურთის ორი უძლიერესი ოსტატის საინტერესო ბრძოლა, მთავარი, რაც წინასწარ განსაზღვრავდა ინტერესს ამ შეხვედრისადმი, ის იყო, რომ რამდენიმე დღით ადრე მეტრეველმა წაადო მოსკოველთან. მაგრამ მეტრეველი თანდათან შეეჩვია ფორმაში და დაამარცხა (მერამდენეჯერ) ჩვენი ქვეყნის ექს-ჩემპიონი ესტონელი ო. ლეეიუნი. და აი ახლა მეტრეველს, რომელიც ვ. ეფოროვთან მატჩზე გამოვიდა, უნდა დაემტკიცებინა, რომ იგი სამართლიანად არის „№ 1 ჩოგბურთელი". 6:3, 6:0, 6:4 — ასეთი ბრწყინვალე სტილით მიღწეულ იქნა გამარჯვება, რომელმაც მის ავტორს სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი მოუპოვა. მეტრეველმა კიდევ ერთი „ოქრო" მიიღო, ს. ლიხაჩოვთან ერთად რომ გამოვიდა წყვილთა თანრიგში. მშვენივრად გამოდიოდნენ მოსკოვში ჩვენი დანარჩენი ჩოგბურთელებიც — რ. აბაშაძე, ა. ივანოვა, ო. კაკაულია და სხვები. მეორე გუნდური ადგილი, რომელიც მათ მოიპოვეს, საუცხოო საუკეთესოა დამსახურებული მწვრთნელების მ. კლიღიაშვილისა და ა. ხანგულიანის ენერგიული, გულმოდგინე შრომისათვის.

ამჯერადაც გაახარა ველოსპორტის მოყვარულნი ო. ფხაკაძემ. მან მოიპოვა ოქროს მედალი სპრინტში, სათვალავით მეოთხე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატებში. მაგრამ საქმე მარტო მედალი როდია. უნდა გენახათ, როგორ მოიპოვა მან გამარჯვება ნორჩ პიონერთა სტადიონის ბეტონის ტრეკზე ვიტყვი მხოლოდ, რომ ო. ფხაკაძის მეტოქეებმა, ცნობილმა მრბოლელმა ბ. რომანოვმა, პ. ხიტროვმა, ა. აბაკუმოვმა მას რამდენადმე სერიოზული კონკურენცია ვერ გაუწიეს.

გარდა ამისა, ო. ფხაკაძემ მოიპოვა, შეიძლება ითქვას, „გეგმისგარეშე" მედალი — ფერცხლის მედალი გიტში 1000 მეტრზე.

ასევე გუნდის ინტერესებისათვის გამოვიდა ბ. კოლულიასიც, რომელიც ამჯერად ხტებოდა არა მარტო „თავისი" იარაღიდან — ტრამპლინიდან, სადაც კვლავ უძლიერესი იყო, არამედ 10-მეტრიანი კოშკიდანაც.

სპორტულ ტანვარჯიშს მძლეოსნობასთან და ცურვასთან ერთად IV სპარტაკიადაზე ჰქონდა ეგრეთწოდებული კოეფიციენტი „2". ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამ სახეობებში მიღებული ქულები ორზე მრავლდება.

რა შეიძლება ითქვას სპორტის ამ სახეობათა წარმომადგენლებზე? ჩვენი მცურავები წარუმატებლად გამოვიდნენ, მხოლოდ მე-9 ადგილი დაიკავეს.

რაც შეეხება ქართველ ტანმოვარჯიშეებს, მათ ამჯერადაც გაგვახარეს. გუნდმა, რომელსაც ლიდერობს ჩინებული სპორტსმენი ა. ჯანუყაშვილი, მეოთხე ადგილი დაიკავა. გაგვახარეს სხვა ტანმოვარჯიშეებმაც — რ. ბერიაშვილმა, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა იუნიორთა შორის, და ი. ნინოშვილმა, რომელმაც მოიპოვა ბრინჯაოს მედალი რგოლებზე ვარჯიშისათვის.

და, ბოლოს, „სპორტის დედოფლის" — მძლეოსნობის შესახებ. სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის საზეიმო გახსნის დღეს, როცა 100 ათასი მაყურებლის თვალწინ მიეცმულ იქნა პირველი სტარტები, ჩვენმა ვაჟთა გუნდმა 4X400 ესტაფეტაში ჩინებულად გაიარა დისტანცია და ფინიშზე მეორე მივიდა. ვერცხლის მედლები გადაეცათ თ. ბახტაძეს, ი. კოზულაძეს, ზ. სარქისიანსა და ა. ანდრეევს.

დიდი წარმატება ხვდათ თარჯრბენ ლ. ივანოვას, მსტომელ ვ. სანეევს, სპრინტერ ა. კოსტინს, სპორტულ მოსიარულეებს ი. დელაროსასა და ა. შპირინასა.

ამრიგად, საქართველოს ნაკრებმა კოლექტივმა, რომელმაც კომპლექსურ ჩათვლაში მეხუთე საპრიზო ადგილი დაიკავა (აღსანიშნავია, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ეს მესამე შედეგია), მიიღეს ორი ძვირფასი ჯილდო — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი და სამახსოვრო თასები.

ამ გამარჯვებაში დიდი დამსახურება მიუძღვის საზოგადოებრივ აქტივს — ფედერაციებს, მწვრთნელთა საბჭოებს, მსაჯთა კოლეგიებს, ინსტრუქტორებსა და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ, აგრეთვე ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მომუშავე თვითეულ თანამშრომელს.

...საბჭოთა ფიზკულტურელების ტრადიციულ დღესასწაულს—ფიზკულტურელის საკავშირო დღეს—ახალგაზრდობის, ჯანმრთელობისა და სილამაზის დღესასწაულს უწოდებენ. და, მართლაც, ამ დღეს, დაწყებული 1939 წლიდან, ჩვენი ხალხი აწყობს საბჭოთა ფიზკულტურელთა და სპორტსმენების მრავალმილიონიანი არმიის ძალების დათვალიერებას, ჩვენი მასობრივი სპორტის მიღწევათა და წარმატებათა დათვალიერებას.

ჩვენი ქვეყნის ათასობით სტადიონზე, წყალჯომარდობის აუზებში, სასპორტო მოედნებზე ფიზკულტურელის დღეს მოეწყობა საინტერესო შეჯიბრებანი სპორტის ბევრ სახეობაში. გაიმართება მოტორბოლა და ველორბოლა, მძლეოსნური ესტაფეტები...

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და სპორტსმენების წინაშე დგას გრანდიოზული ამოცანები — მიაღწიონ ახალ წარმატებებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივობის განვითარებაში, ქართველი სპორტსმენები კი წარმატებით მოემზადონ იმისათვის, რომ ღირსეულად გამოვიდნენ ოლიმპიურ ასპარეზობაზე მეხიკოში, აგრეთვე იბრძოლონ სპორტული ოსტატობის შემდგომი აღმავლობისათვის, იმის უფლების მოპოვებისათვის, რომ პრეზიორთა შორის იყონ სპორტის ყველა სახეობაში საკავშირო სპორტულ შეჯიბრებათა დროს.

გ. სიხარულიძე,
საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარე

28 ივლისი ოქროს ასოებით იქნა ჩაწერილი საბჭოთა სპორტის ისტორიაში. სწორედ ამ დღეს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის ხალხთა მეოთხე საიუბილეო სპარტაკიადა, მიძღვნილი საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი. ეს იყო სპორტსმენთა უჩვეულო ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებმა — მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონებმა, პრიზიორებმა, ჩვენმა სახელოვანმა ფიზკულტურელებმა.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ საქართველოს სპორტსმენთა კოლონას პარადზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



210.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება

1967 წლის 10 აგვისტოსათვის (ტონოგით)

	გეგმა 1967 წლისათვის			შესრულება		გეგმის შესრულების პროცენტი	
		აგვისტო	სეზონის დამდეგიდან	აგვისტო	სეზონის დამდეგიდან	აგვისტო	
აფხაზეთის ასსრ	33695	6740	29603	1162	87,9	17,2	
გალის	17925	3583	15278	646	88,0	18,0	
ოჩამჩირის	11055	2214	9751	303	88,2	13,7	
გუდაუთის	3300	660	2742	155	83,1	23,5	
გულრიფშის	1118	224	1065	47	95,3	21,0	
სოხუმის	297	59	267	11	89,9	18,6	
აჭარის ასსრ	32530	6506	27763	735	85,3	11,3	
ქობულეთის	23562	4712	19723	552	83,7	11,7	
ბათუმის	8518	1704	7666	170	90,0	10,0	
ქედის	450	90	374	13	83,1	14,4	
მახარაძის	38120	7620	31943	1099	83,8	14,4	
ზუგდიდის	25785	5160	21448	702	83,2	13,6	
წალენჯიხის	12120	2430	10774	298	88,9	12,3	
ლანჩხუთის	10680	2140	9146	216	85,6	10,1	
გეგეჭკორის	9350	1865	7785	210	83,3	11,3	
ჩხოროწყუს	8450	1690	6986	185	82,7	10,9	
ჩოხატაურის	5780	1155	4846	159	83,8	13,8	
ტყიბულის საქალაქო საბჭო	4410	880	4001	40	90,7	4,5	
წყალტუბოს	4400	880	4651	89	105,7	10,1	
წულუკიძის	4300	860	3716	121	86,4	14,1	
ცხაკაიას	4065	813	4112	244	101,2	30,0	
ხობის	3670	730	3281	107	89,4	14,7	
სამტრედიის	1270	254	1031	33	81,2	13,0	
აბაშის	470	94	510	13	108,5	13,8	
თერჯოლის	380	77	434	18	114,2	23,4	
ბიათურის საქალაქო საბჭო	330	66	417	29	126,4	43,9	
ვანის	150	30	138	4	92,0	13,3	
ზესტაფონის	45	10	64	1	142,2	10,0	
სულ	200000	40000	172649	5465	86,3	13,7	
მათ შორის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	37300	7489	32100	1230	86,1	16,4	
იყო 1966 წლის 10 აგვისტოსათვის	195000	42900	191588	10184	98,3	23,7	

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

პრემიები — ეკონომიისათვის

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ელექტროენერგიის ეკონომიისა და სიმძლავრის კოეფიციენტის გადიდებისათვის რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების კოლექტივთა შეჯიბრების 1967 წლის მეორე კვარტალის შედეგები. შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს **თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივი,** რომელმაც მეორე კვარტალში დაზოგა 747 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და

ნაყოფიერი თანამშრომლობა

პრაღა, 10 აგვისტო. (საკდესი). ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ერთობლივ კვლევას კავშირგაბმულობის დარგში თავის ნაყოფი მოაქვს — შეიქმნა სახელმწიფოთშორისი ნახევრადავტომატური სატელეფონო ხაზი „მნ-60“. ამ ხაზის დაპროექტებასა და მშენებლობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის სპეციალისტები. ახლახან დამთავრდა მოსკოვ-ბერლინ-პრაღის უბნის საცდელი ექსპლოატაცია, რამაც ცხადყო მოწყობილობის მაღალი ხარისხი და დაადასტურა, რომ შეიძლება ეს ხაზი გადაიყვანონ მთლიან ავტომატურ მართვაზე.

საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთიანი მეცადინეობით გაყვანილია საერთაშორისო მიწისქვეშა სატელეფონო და სატელევიზიო მაგისტრალი, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს მოსკოვს, კიევს, პოლონეთის ქალაქ კატოვიცეს, პრაღასა და ბერლინს.

დიდი ერთობლივი მუშაობა წარმოებს აგრეთვე რადიოსა და ტელევიზიის დარგში. საბჭოთა კავშირის ტექნიკური დოკუმენტაციით ჩეხოსლოვაკიაში მონტაჟდება ახალი სატელევიზიო სადგური. თავის მხრივ საბჭოთა კავშირი გამოიყენებს დიდძალ ჩეხოსლოვაკიურ საზომ ხელსაწყოებს შორი კავშირისა და რადიოგადაცემების ტექნიკისათვის.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

ულან-ბატორი, 10 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება მონღოლეთის საწინააღმდეგო ახალ კამპანიასთან დაკავშირებით, რომელიც გუშინ პეკინში დაიწყო.

ჩინეთის ხელისუფალნი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსა და მისი თანამშრომლების მიმართ სჩადიან ველურ თვითნებობას და აღმაშფოთებელ უკადრისობას, ნათქვამია განცხადებაში. ამან ერთხელ კიდევ ამხილა მაოისტთა ნამდვილი სახე, რომლებიც ფიხქვიმ თელავენ სხვა სახელმწიფოთა, „ანსაკუთრებით პატარა, ჩინეთის მეზობელი სახელმწიფოთა“ სუვერენულ უფლებებს. ეს სარკეა სასაცილო მაო ძე-დუნის ჯგუფის დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ექსპანსიონიზმის პოლიტიკას, რომელიც ამჯარაზს არ უნევს არაფერს და ფეხქვეშ თელავს სახელმწიფოთა ურთიერთობის ელემენტარულ ნორმებსა და პრინციპებს.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ჩინეთის მთავრობას უცხადებს მტკიცე პროტესტს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პეკინის ოფიციალური წარმომადგენლობის მიმართ ახალი პროვოკაციული გამოხდომების წინააღმდეგ. მონღოლეთის მთავრობა კატეგორიულად მოითხოვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისაგან, რომ მან მკაცრად დასაჯოს ამ უადრესად სერიოზული პროვოკაციის ორგანიზატორები, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს დაპატიმრებული შოფერი — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც ვლავ შეურაცხყოფენ „წითელი დამცველები“ და ჩინეთის ოფიციალური ხელისუფალნი.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ჩინეთის მხარეს აკისრებს მთელ პასუხისმგებლობას სერიოზული შედეგებისათვის, რაც შეიძლება მოჰყვეს თვითნებობისა და უხეშობა ძალადობის აქტების მონღოლეთის საელჩოსა და მისი პერსონალის მიმართ, აღნიშნულია დასასრულ მონღოლეთის მთავრობის განცხადებაში.

ინდოეთი სოლიდარობას უცხადებს არაბებს

დელი, 11 აგვისტო. (საკდესი). ახლო აღმოსავლეთში „შვიდობა ვერ დამყარდება, სანამ ისრაელის ჯარები არ დატოვებენ არაბულ ტერიტორიებს, რომლებიც ძალით აქვთ მიტაცებული“, — ნათქვამია განცხადებაში, რომელიც არაბ ხალხებთან სოლიდარობის ეროვნული კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს.

დელში გამართული კონფერენციის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს მორალურ და მატერიალურ დახმარებას, რასაც საბჭოთა კავშირის მთავრობა და ხალხი უწევენ არაბულ ქვეყნებს ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. „საბჭოთა კავშირმა თავისი მოქმედებით ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ იგი იმ ხალხთა მხარეზეა, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ქვეყნების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის“.

„ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ არაბი ხალხების მხარდასაჭერად გამართული კონფერენცია, — ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, — წარმატებებს უსურვებს არაბული სამყაროს პროგრესულ ძალებს, რომლებიც გმირულად იბრძვიან თავიანთ ქვეყნებში ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დასაცავად“. კონფერენციამ დაგმო წამქეზებლური როლი, რომელიც შეასრულეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და დასავლეთ გერმანიის მთავრობებმა ისრაელის მიერ აგრესიის გაჩაღებაში. კონფერენციის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ ისრაელმა უსიტყვოდ და დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები არაბული ტერიტორიებიდან.

კონფერენციაზე გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ არაბი ხალხების ბრძოლა ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის საერთო საქმეა, აზიის ხალხთა საერთო საქმეა იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ინდოეთი, ისევე როგორც სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნები, მტკიცედ აცხადებს, რომ მხარს უჭერს არაბ ხალხებს სამართლიან ბრძოლაში.

კონფერენციაზე წაიკითხეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის მისალმება, რომელშიც იგი წერს, რომ მხარს უჭერს არაბი ხალხების ბრძოლას და წარმატებებს უსურვებს კონფერენციის მონაწილეებს მუშაობაში.

ისრაელის დამპყრობლური გეგმები

პარიზი, 10 აგვისტო. (საკდესი). ისრაელის თავდაცვის მინისტრმა მოშე დაიანმა „აბსურდული“ უწოდა ისრაელის საზღვრებს, რომლებიც 1948 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაადგინა. მან მოითხოვა, რომ დაკანონდეს ისრაელის მიერ არაბული ტერიტორიების დაპყრობა. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, დაიანმა სიტყვა წარმოთქვა რაფის პარტიის ყრილობაზე. ეს დაჯგუფება 1965 წელს გამოეყო მაპაის პარტიას, რომელსაც ახლანდელი პრემიერ-მინისტრი ლ. ეშკოვი მეთაურობს.

დაიანმა განაცხადა, რომ ისრაელის მთავრობა არ აპირებს გადათვისებულ არაბული მიწები, რომლებიც კონფლიქტის შედეგად იგდო ხელთ. გენერალმა ეს გადაწყვეტილება ახსნა იმით, რომ არაბულ ქვეყნებს „ზავი არ უთხოვიათ“ აგრესორისათვის. ორშაბათს იერუსალიმში არაბმა ეკონომისტებმა ეს ინფორმაცია გაავრცელეს. ეს ინფორმაცია „ალ-ბაასი“-ს ბეიროუთის ოფისიდან მიეწოდა. ეს ინფორმაცია ეკონომისტებმა ეგვიპტეში ჩასულ ინგლისელ ეკონომისტ ჯ. ბერტონ-ბერტონ-ბერტონ-

„ჩვენი ხალხისათვის მუდამ წმიდათა-წმიდა იქნება ლენინური ბოლშევიკების, სოციალისტური რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის გმირთა ხსოვნა. ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ პირველი ხუთწლედების მამაც მშენებლებს, რომლებმაც შექმნეს ახალი ქარხნები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები... მათი ღვაწლი მუდამ ემახსოვრება მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნის დიდ საქმეს“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“.

• ჩვენი ძველი და ნაცნობი გმირები

მილვწიან, მოგიგონებენ...

როდიონ ქორქია,

ღლეს რომ კაცმა შავი ზღვის სანაპირო რაიონები ჩამოიაროს, ყველგან ნახავს ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებს, ნახავს ახალ შიწაზე გადაჭიმულ ახალ სოფლებს, ფერმებს, ფაბრიკა-ქარხნებს. ნახავს წყალსაწრეტ არხებს, ასფალტით მოგებულ გზებს და ამ გზებზე მოსრიალე ავტომანქანებს. ნახავს კოლხიდიათვის წინათ უჩვეულო მცენარეებს და ლოყალაჟღაჟა ბავშვებს...

მე კი ჩემს ბავშვობაში, თუმცა კოლხიდაში გავიზარდე, არაფერი ეს არ მინახავს. მინახავს მხოლოდ ტალახი და ღრანტე გზები, ციებისაგან გაყვითლებული ბავშვები და კოღო-ბაყაყების სამეფო — ჭაობი...

ჭაობი, სიცოცხლისა და სიხარულის მტერი, ციებისა და უმეურის დედა. ამ ჭაობს ეჭირა 225.000 ჰექტარი ფართობი. ის აშინებდა მტერსა და მოყვარეს, საუკუნეების მანძილზე აფერხებდა ქვეყნის ეკონომიკას, აფუნებდა შრომას, ამცირებდა მოსახლეობის ზრდას.

ხალხი ოცნებობდა ჭაობის ამოშრობაზე.

ჭაობის ამოშრობაზე ოცნებობდა ნიკო ნიკოლაძეც. მან გეგმაც კი შეადგინა ჭაობის ამოშრობისათვის. მაგრამ საჭირო იო ფული ბანკი და დიდი ზრუნვა ხალხზე, რომ ოცნება სინამდვილედ ქცეულიყო.

ჭაობის ამოშრობის საუკუნეობრივ ოცნებას ფრთები შეასხეს საბჭოთა ადამიანებმა. მათ გაბედეს ჭაობთან შებრძოლება და დაძლიეს იგი. ახლა ამოშრობილია 90.000 ჰექტარი ჭაობი და შექმნილია ახალი მიწა.

ამ ახალ მიწაზე არ არის ციება, არ არის უმეური და ხვალინდელი დღის შიში. ამ ახალ მიწაზე დამკვიდრდა ახალი ცხოვრება.

აი ამ ახალი ცხოვრებისათვის ერთ-ერთი პატრიოტული მებრძოლისა და პიონერის, ინეინერ გრიგოლ გეგეჭკორის შესახებ გვსურს ორიოდე სიტყვა ვუთხრათ „კომუნისტის“ მკითხველს. იგი ღირსია, რომ მისი დაბადების 75 წლისთავზე მადლობის გრძნობით მოვიხსენოთ, როგორც ჭაობის ამოშრობის საშვილიშვილო და ეროვნული საქმის ერთ-ერთი თავკაცი.

გრიგოლ გეგეჭკორი დაბადა სამეგრელოში, სოფელ მარტვილში. 1907 წელს ქუთაისის რეალური სასწავლებელი დაამთავრა და შევიდა ნოვოჩერკასკის მელიორაციის ინსტიტუტში. მაშინ ამ ინსტიტუტში მოღვაწეობდა ახალგაზრდა მასწავლებელი, შემდეგ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი მინერალოგი, აკადემიკოსი ა. თვალჭრელიძე. ინსტიტუტი გრ. გეგეჭკორმა 1913 წელს დაამთავრა.

1914 წელს პირველი მსოფლიო ომი ატყდა და ახალგაზრდა ინეინერი მოქმედ არმიაში გაიწვიეს. ომამდეთის ფრონტზე იგი სამხედრო ნაგებობათა და სტრატეგიული გზების გაყვანას ხელმძღვანელობდა. ომის შემდგომ კი, როცა ქვეყანა ომისგან დანგრეული აჭარის აღდგენას შეუდგა, გრ. გეგეჭკორი ხუთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ საქმეს.

1923-1928 წლებში გრ. გეგეჭკორი თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ასწავლიდა მელიორაციისა და ჰიდრავლიკის კურსს. იგი პარალელურად განჯაში (ციროვაბადში) კითხულობდა იმავე საგნებს აზერბაიჯანელი სტუდენტებისათვის ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმში...

30-იან წლებში ხალ-ბოსტნეულით თბილისის მომარაგების საკითხი მოგვარებული არ იყო. თბილისის გვერდით კი დიღმის ფართო ველი უწყლობით იხუთებოდა. და თითქოს ელოდა ვინმეს, რომელიც მას წყლით გააცოცხლებდა და თბილისის სამსახურში ჩააყენებდა. ეს ადამიანიც გამოჩნდა.

ეს იყო გრ. გეგეჭკორი. მან შეადგინა დიღმის ველის მორწყვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულ იქნა და ამ საქმის გაძღოლა გრ. გეგეჭკორს დაეკისრა. გრ. გეგეჭკორმაც ეს საქმე ბრწყინვალედ შეასრულა.

მაგრამ გრიგოლ გეგეჭკორის მოღვაწეობისა და შრომის გვირგვინი მაინც კოლხიდის ჭაობის ამოშრობის საკითხია. ოციანი წლების ბოლოს ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა: ჩამოყალიბდა ჭაობის ამოშრობის ხელმძღვანელი ორგანიზაცია „კოლხიდმშენი“.

დღიდან დაარსებისა გრ. გეგეჭკორი ამ ორგანიზაციის აქტიური მუშაკი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. როცა საჭირო შეიქნა ჭაობის ამოშრობის საქმის შესწავლა, გრ. გეგეჭკორი საზღვარგარეთ მიავლინეს. გრ. გეგეჭკორმა საზღვარგარეთ წელიწადნახევარი დაჰყო და საფუძვლიანად გაეცნო ჭაობის ამოშრობის ტექნიკას. საქართველოში დაბრუნებისას მან ახალი გეგმა წარუდგინა ხელმძღვანელობას. გეგმის დამტკიცების შემდეგ გეგეჭკორი „კოლხიდმშენის“ მთავარ ინეინრად დაინიშნა.

საინტერესოა, რომ ჭაობის ამოშრობის გეგმას პირადად სტალინი გაეცნო და ჭაობთან მებრძოლებს ურჩია, ამოშრობა ფოთი-ჭალადიდის მასივიდან დაიწყეთო. ეს მასივი იყო ყველაზე ძნელი უბანი და ყველაზე თვალსაჩინო ადგილას მდებარეობდა.

ასე მოხდა. კოლხიდელები შეუსაბამენ ჭაობს ყველაზე რთულსა და ყველაზე თვალსაჩინო ადგილას: ფოთი-ჭალადიდის მასივში. მეტად ძნელი იყო აქ მუშაობა, მაგრამ შეიქმნა ძლიერი კოლექტივი ინეინერ-ტექნიკოსებისა და მუშებისა. აქ ყველანი ეროვნული საქმის გასაკეთებლად მოვიდნენ. მუშაობდნენ შესანიშნავი ინეინერები, დიდი ცოდნის, დიდი გამოცდილების ადამიანები. ბევრი მათგანი ახლაც მუშაობს კოლხიდაში, ზოგი კი რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანიზაციებში იღვწის. ეს კოლხიდელი პატრიოტები მე პირადად მინახავს, ჭაობში რომ იდგნენ დარსა თუ ავდარში და ებრძოდნენ ადამიანის ამ დაუძინებელ მტერს. ეს ადამიანები არავითარ სიძნელეს არ უბრიდნენ თავს.

მე მინახავს, ამ მხარის სოფლებიდან რა ძნელ პირობებში მოჰქონდათ ქალებს ჭაობში საჭმელი მამაკაცებისათვის. გარშემო იდგა ყვითელი წყალი, ეკალბარდები ხლართავდნენ ვიწრო სავალ-ბილიკებს, და თუ ბილიკებიც არ იყო, ქალები თავზე დაიდებდნენ კალათას და ასე შეაბოტებდნენ წყალში.

მე მინახავს აქ ქართველი მწერლები, რომელთაც უმღერეს ჭაობის გმირებს...

და მე ყველან ვხედავდი ამ ეროვნული საქმის ენთუზიასტ ინეინერს გრიგოლ გეგეჭკორს...

ხალხს უყვარდა იგი და ლექსიც კი შეუთხზეს მას. ლეჭხში გეგეჭკორი გამოყვანილია როგორც ციებასთან მებრძოლი გმირი.

„ციებამ თქვა, ჭაობებში
ბინა მქონდა თბილადო,
ახლა გრიგოლ გეგეჭკორი
შემომიჩნდა ჭირადაო...“

შეიდწელიწადნახევარს მუშაობდა გრ. გეგეჭკორი აქ. მან ბევრი რამ მოასწრო: გადაუტეხა ჭაობს ხერხემალი, გამოგლიჯა ჭაობს ახალი მიწა, გამოზარდა ახალი კადრები.

და ეს შესანიშნავი ადამიანი 1937 წელს უდროოდ დაიღუპა. ჩვენ, მისი მეგობრები, ვამაყობთ, იმით, რომ ჩვენს შორის იყო ასეთი პატრიოტი, ასეთი მოამაგე ჩვენი ხალხისა...

მისი დაბადების 75 წლისთავზე ვიგონებთ მას კარგი გულით.

„მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცავენ, მოვეგონები“.

გამოფენა მოგვითხრობს

იმ მრავალფეროვან ღონისძიებათა შორის, რომლებსაც კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი უძღვნის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის იუბილეს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მოძრავი გამოფენა თემაზე — „კასპის რაიონის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის“. გამოფენის ადგილსამყოფელი ჯერჯერობით კასპის ცემენტის ქარხნის კულტურის სახლია.

სტენდზე მოთავსებული მასალები ასახავენ კასპის რაიონის რევოლუციური წარსულის იმ მონაკვეთს, რომელიც დაკავშირებულია ოქტომბრის ქარიშხლიან დღეებთან და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლასთან.

მნახველთა ყურადღებას იპყრობს ძმების სანდრო და პლატონ იაშვილების (სოფ. მეტეხი) რევოლუციური გმირობის მასალები. აქვეა წარმოდგენილი დოკუმენტები სახელოვან რევოლუციონერებზე გრიგოლ პარკაძეზე (სოფ. ქვემოჭალა) და გიორგი ელისაბედაშვილზე (ახალქალაქი), რომლებიც რევოლუციურ საქმიანობაში ჩაებნენ ჯერ კიდევ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს.

დამთვალიერებლები ინტერესს იჩენენ ლელაშვილების (ხოვლე) რევოლუციონერთა ოჯახით. ნატალია ლელაშვილმა, რომლის სახელობის ქუჩა არსებობს ქ. თბილისში, ოთხი შვილი გამოზარდა — გიგო, ლუბა, ისაკი და ოლღა. ოთხივე მის არჩეულ გზას — რევოლუციის გზას გაჰყვა.

გამოფენაზე ადგილი აქვს დათმობილი ახალქალაქის გლეხთა აჯანყების მოთავეებს ივანე ჯეჯელავას და ესტატე მამასახლისოვს, მათს გვერდით არის სურათი ასოვანი ვაჟაკაცისა, ეს გახლავთ შაქრო მეცხვარიშვილი (სოფ. ხოვლე), რომელიც გორის მაზრის ახალქალაქის რაიონის 1919 წლის გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.

აქვეა წარმოდგენილი ამ აჯანყების აქტიური მონაწილეების სტ. აბუაშვილის (მეტეხი), გ. ჯანანაშვილის, ნ. დალაქიშვილის (ხოვლე), ა. რაზმაძის (დოესი) და სხვათა მასალები. ყურადღებას იპყრობს რაიონის რევოლუციონერების, მ. თეკთუმანიძის, პ. შაბურიშვილის (სამთავისი), გ. ავლოხაშვილის (ნიგოზა), ი. ადამაშვილის (ქვემოხანდაკი), ვ. გნოლიძის, ა. ფრუნძის (ქვემოჭალა) და სხვათა შესახებ შეგროვილი დოკუმენტები.

ამ გამოფენას ინტერესით ეცნობიან ახალქალაქის, კათისუბნის, მეტეხის, ქვემოჭალის, სამთავისის, ქვემო გომისა და რაიონის სხვა სოფლების მშრომელები.

გ. ხორგუაშვილი,
კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.

„პრავდის“ გაკვეთილები

გორი. (საკ. კორ.). გაზეთ „პრავდის“ გაკვეთილები. ასე მწოდა სემინარს, რომელიც საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო ქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და მათი მოადგილეებისათვის.

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ო. სოსანიძემ. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი ბ. დარჯანია მსმენელებს ესაუბრა თემაზე — „გაზეთი „პრავდა“ — საზოგადოებრივი მეცნიერების შესახებ“. „პრავდის“ გაკვეთილების შესახებ მოხსენება გააკეთა „ბორვეგრობის“ პარტბიუროს მდივანმა ო. ელიოზიშვილმა.

სემინარზე დიდი ინტერესით მოისმინეს აგრეთვე გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივნის მ. ნინოშვილის მოხსენება — „გაზეთი „პრავდა“ კომუნისტთა ავანგარდული როლის შესახებ“. „პრავდის“ [illegible] — „[illegible] ითი იყო „ფარმების პრობლემა — [illegible] ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანის მ. კოშუაშვილის მოხსენება.

საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს შემდგომ მოაწყოს მთელი ციკლი საბჭოთა პრესის „გაკვეთილებზე“.

ზეპირი ქურნალი — „50 ოქტომბერი“

ახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ ასკანის საკოლმეურნეო კლუბში მოეწყო საიუბილეო ზეპირი ჟურნალი — „50 ოქტომბერი“. ჟურნალი შეივსო მოხსენებებით: „ოქტომბრის რევოლუცია და სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში“ (მომხსენებელი რ. ნინიძე), „ოქტომბერი და მშრომელთა კეთილდღეობა“ (მომხსენებელი კ. ჯაველიძე) „ოქტომბერი მშრომელთა ეროვნებათა სადარაჯოზე“ (მომხსენებელი ეკიმი გრ. გოგელია).

ზეპირ ჟურნალს 300-ზე მეტი კაცი დაესწრო. შემდეგ მოეწყო კლუბის თვითმოქმედი წრეების მიერ მომზადებული მხატვრული გამოსვლები.

როცა თეზისებს კითხულობ

ოქტომბრის დიადი იდეები, მათი ისტორიული მონაპოვრები, შთამბეჭდავად არის ჩამოყალიბებული, დახასიათებული, გაანალიზებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“.

ოქტომბრის იდეებს, მის მონაპოვრებს, ამ თეზისებს, გარდა იმისა, რომ დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვთ, ამასთან ისინი კიდევ უფრო განუმტკიცებენ საბჭოთა ადამიანებს იმის რწმენას, რომ მართალია ჩვენი დიადი საქმე, ხელს უწყობენ ხალხის აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით, აიარაღებენ თეორიული ცოდნით და ისტორიული გამოცდილებით კიდევ უფრო სწრაფი და წარმატებითი წინსვლისათვის.

ოქტომბრის იდეების სისტემატური პროპაგანდის აუცილებლობა იმითაც არის განპირობებული, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სამი მეოთხედი დაბადა და გაიზარდა უკვე საბჭოთა პერიოდში. ისინი არც მონაწილენი და არც მოწმენი ყოფილან ოქტომბრის ამბების, არც პირველი სოციალისტური გარდაქმნების. ჩვენი ყოველი ახალი თაობა კი მოვალეა სათუთად ინახავდეს, ამრავლებდეს და აგრძელებდეს რევოლუციურ, შრომითს ტრადიციებს. ჩვენი პარტიისა და ხალხის წარსულში პოულობდეს შთაგონებას სადღეისო სასახელო საქმეებისათვის.

ოქტომბრის იდეები, კომუნიზმის იდეები ჩვენი დროის ფამფარა იდეებია, თანამედროვე ისტორიის დიდი შემოქმედებითი ძალაა. როცა ვლაპარაკობთ ოქტომბრის იდეებზე, აქ ჩვენ ყოველთვის ვგულისხმობთ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დაბადებას, რაც შედეგად მოჰყვა დიდ ოქტომბერს. ოქტომბრით დაიწყო ახალი ეპოქა, ახალი ერა მსოფლიოს ისტორიაში, დაიწყო კაპიტალიზმის მსხვრევისა და სოციალიზმის ერა.

ოქტომბრის იდეების დიდ ძალაზე მეტყველებს მათი საერთაშორისო გავრცელება. ამიტომ საჭიროა მთელ პროპაგანდისტულ მუშაობაში ყურადღებას ვამახვილებდეთ იმაზე, თუ ოქტომბერმა როგორ დააჩქარა და აჩქარებს ისტორიულ მოვლენათა მსვლელობას, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გავრცელებას მთელ მსოფლიოში. ყოველივე ეს უფრო დამაჯერებელი რომ იყოს, უნდა დავასახელოთ კონკრეტული მაგალითები. ისინი კი საძებარი როდია. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ევროპის და აზიის ბევრ ქვეყანაში და ამერიკის კონტინენტზე — კუბაში, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძლიერი განვითარება. კოლონიური იმპერიალიზმის დამხობა, თანამედროვე მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად გადაქცევა და სხვ. — ყოველივე ეს ამის ნათელი დადასტურებაა.

ოქტომბრის იდეების პროპაგანდისათვის, თვითეული ადამიანის შეგნებასა და გრძნობამდე მათს მიტანაში, ახლანდელი და მომავალი თაობების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ის დიდი მუშაობა, რასაც ახლა ეწევიან ყოველ რაიონში თუ ქალაქში, ოლქში თუ რესპუბლიკაში პარტიის ისტორიის, ოქტომბრის რევოლუციის, საბჭოთა რესპუბლიკების ისტორიის მასალების შეგროვების, შესწავლისა და განზოგადებისათვის. ასეთი მასალები კი უხვად არის მეცნიერულ შრომებსა და პოპულარულ წიგნებში, დოკუმენტებსა და კრებულებში, რევოლუციის ვეტერანების მოგონებებში, პარტიულ და სახელმწიფო არქივებში, ისტორიულ-რევოლუციურ მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში და სხვ. მეტად სასარგებლო საქმეს აკეთებენ უფროსი თაობის ადამიანები — სოციალისტური რევოლუციის, პირველი ხუთწლედების, დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილენი. ისინი ხალხის მეხსიერებაში აღადგენენ რევოლუციური წარსულის ნაკლებად ცნობილ ან დავიწყებულ ფაქტებს, ამბებს.

შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს მახარაძის რაიონის სოფელ ჯუმათის ძველმა კომუნისტებმა. მათ რაიონულ გაზეთ „ლენინის დროშის“ ფურცლებიდან მშრომელებს მოუწოდეს შეგვრიბით რევოლუციური წარსულისა და სოციალისტური მშენებლობის ისტორიის ამსახველი მასალები, ძველ რევოლუციონერთა მოგონებანი და მოეთავსებინათ ისინი საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილ სასოფლო მუზეუმებში. ინიციატივამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა. ძიმითის, ნატანების, განახლებისა და სხვა კოლმეურნეობათა მუზეუმებს ბევრი ხალხი ათვალიერებს, ეცნობა შეგროვილ საინტერესო მასალებს.

რა დიდი პერსპექტივები ისახება ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკების — ლექტორების, მომხსენებლების, პროპაგანდისტების, აგიტატორების, პოლიტინფორმატორების წინაშე, როცა საუბარზე თუ ლექციაზე, საოქტომბრო კითხვაზე თუ ლენინურ კითხვაზე, კითხვა-პასუხის საღამოზე თუ ზეპირი ჟურნალის საშუალებით მოუთხრობენ ჩვენს ადამიანებს ოქტომბრის მონაპოვრებზე, საბჭოთა ქვეყანაში მსხვილი სოციალისტური მრეწველობის შექმნაზე, სოფლის კოოპერირების ლენინური გეგმის განხორციელებაზე, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებასა თუ კულტურული რევოლუციის განხორციელებაზე.

მოსათხრობი, მოსაგონარი და სალაპარაკო კი ცოტა როდია.

აპიდოთ თუნდაც მრეწველობის განვითარება, ჩვენი ქვეყნის გადაქცევა ძლაგრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ.

ჩვენი მუშათა კლასის, მრეწველობის ყველა მუშაკის რა დიდ გმირულ შრომას წარმოვიგენს, უკეთესი შრომისათვის რამდენ ახალ ძალას შეგვმატებს იმის განხორციელება, გახსენება, რომ საბჭოთა მრეწველობა აერთიანებს 44 ათასზე მეტ მსხვილ სამრეწველო საწარმოს. ამჟამად ჩვენში ყოველწლიურად 16-ჯერ მეტ თუჯს ადნობენ, ვიდრე 1913 წელს, ამავე პერიოდში ფოლადის გამოდნობა 20-ჯერ და მეტად გაიზარდა. 26-ჯერ გადიდდა ნავთობის ამოღება. რევოლუციამდელ რუსეთში 1913 წელს გამოშვებულ იქნა სულ 2 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 1966 წელს კი — თითქმის 550 მილიარდი კილოვატ-საათი. ამავე პერიოდში მინერალური სასუქების წარმოება 89 ათასი ტონიდან 35 მილიონ ტონამდე გაიზარდა, განუზომლად გადიდდა სსრ კავშირის ხვედრითი წონა მსოფლიოს სამრეწველო წარმოებაში. თუ 1913 წელს რუსეთი აწარმოებდა მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის მხოლოდ 4 პროცენტს, ამჟამად მსოფლიო პროდუქციის ერთი მეხუთედი ჩვენს ქვეყანაზე მოდის. თუ რევოლუციამდე რუსეთი აწარმოებდა ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობის მოცულობასთან შედარებით 12,5 პროცენტს, ახლა ამ მაჩვენებელმა 65 პროცენტს მიაღწია.

ასეთივე მონაცემები მშრომელებს შეიძლება გავაცნოთ სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვა დარგებიდანაც როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური მასშტაბით.

ჩვენმა ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ ოქტომბრის მონაპოვრებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება და კომუნიზმის მშენებლობაზე გადასვლა. სოციალიზმის გამარჯვება ჩვენი ხალხის ყველაზე დიდი მონაპოვარი რომ არის, მარტო ამის პროპაგანდა საქმის ერთი მხარეა. უნდა ნათელყოფდეთ იმასაც, რომ მოპოვებული წარმატებები საშუალებას გვაძლევს ახალი ნაბიჯები გადავდგათ წინ.

სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ იუბილესთვის მზადება, ოქტომბრის იდეების, მის მონაპოვართა პროპაგანდა ხელს უწყობდეს მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებას, მათს დარაზმვას ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

იმ წარმატებათა მოპოვებაში, რომლებსაც ჩვენი ადამიანები აღწევენ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებების, ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში, დიდია ჩვენი პრესის, რადიოს, ტელევიზიის, პროპაგანდისა და აგიტაციის როლი.

უკანასკნელ წლებში მოპოვებულია დიდი წარმატებები, რომლებისთვისაც საქართველო დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ხოლო რესპუბლიკას მიენიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ამ წარმატებათა მოპოვების გამოცდილების ფართო და ღრმა პროპაგანდით უნდა მივაღწიოთ ახალ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიმდინარე წელს.

წინასაიუბილეო პროპაგანდა მიეწევებთან ერთად ჩვენს ადამიანებს უნდა აცნობდეს ჩრდილოეთ მხარეებსაც თვითეული ლექტორი, მომხსენებელი, აგიტატორი. პოლიტინფორმატორი უნდა ცდილობდეს ყურადღება გაამახვილოს აგრეთვე ოქტომბრის დიადი იდეები, მათი ისტორიული მონაპოვრები, შთამბეჭდავად არის ჩამოყალიბებული, დახასიათებული, გაანალიზებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“.

შთაგონების, წინსვლის ღაარო

დ. კაკაბაძე,

ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ რედაქტორი.

ციელებაზე, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებასა თუ კულტურული რევოლუციის განხორციელებაზე.

მოსათხრობი, მოსაგონარი და სალაპარაკო კი ცოტა როდია.

აპიდოთ თუნდაც მრეწველობის განვითარება, ჩვენი ქვეყნის გადაქცევა ძლაგრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ.

ჩვენი მუშათა კლასის, მრეწველობის ყველა მუშაკის რა დიდ გმირულ შრომას წარმოვიგენს, უკეთესი შრომისათვის რამდენ ახალ ძალას შეგვმატებს იმის განხორციელება, გახსენება, რომ საბჭოთა მრეწველობა აერთიანებს 44 ათასზე მეტ მსხვილ სამრეწველო საწარმოს. ამჟამად ჩვენში ყოველწლიურად 16-ჯერ მეტ თუჯს ადნობენ, ვიდრე 1913 წელს, ამავე პერიოდში ფოლადის გამოდნობა 20-ჯერ და მეტად გაიზარდა. 26-ჯერ გადიდდა ნავთობის ამოღება. რევოლუციამდელ რუსეთში 1913 წელს გამოშვებულ იქნა სულ 2 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 1966 წელს კი — თითქმის 550 მილიარდი კილოვატ-საათი. ამავე პერიოდში მინერალური სასუქების წარმოება 89 ათასი ტონიდან 35 მილიონ ტონამდე გაიზარდა, განუზომლად გადიდდა სსრ კავშირის ხვედრითი წონა მსოფლიოს სამრეწველო წარმოებაში. თუ 1913 წელს რუსეთი აწარმოებდა მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის მხოლოდ 4 პროცენტს, ამჟამად მსოფლიო პროდუქციის ერთი მეხუთედი ჩვენს ქვეყანაზე მოდის. თუ რევოლუციამდე რუსეთი აწარმოებდა ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობის მოცულობასთან შედარებით 12,5 პროცენტს, ახლა ამ მაჩვენებელმა 65 პროცენტს მიაღწია.

ასეთივე მონაცემები მშრომელებს შეიძლება გავაცნოთ სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვა დარგებიდანაც როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური მასშტაბით.

ჩვენმა ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ ოქტომბრის მონაპოვრებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება და კომუნიზმის მშენებლობაზე გადასვლა. სოციალიზმის გამარჯვება ჩვენი ხალხის ყველაზე დიდი მონაპოვარი რომ არის, მარტო ამის პროპაგანდა საქმის ერთი მხარეა. უნდა ნათელყოფდეთ იმასაც, რომ მოპოვებული წარმატებები საშუალებას გვაძლევს ახალი ნაბიჯები გადავდგათ წინ.

სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ იუბილესთვის მზადება, ოქტომბრის იდეების, მის მონაპოვართა პროპაგანდა ხელს უწყობდეს მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებას, მათს დარაზმვას ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

იმ წარმატებათა მოპოვებაში, რომლებსაც ჩვენი ადამიანები აღწევენ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებების, ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში, დიდია ჩვენი პრესის, რადიოს, ტელევიზიის, პროპაგანდისა და აგიტაციის როლი.

უკანასკნელ წლებში მოპოვებულია დიდი წარმატებები, რომლებისთვისაც საქართველო დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ხოლო რესპუბლიკას მიენიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ამ წარმატებათა მოპოვების გამოცდილების ფართო და ღრმა პროპაგანდით უნდა მივაღწიოთ ახალ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიმდინარე წელს.

წინასაიუბილეო პროპაგანდა მიეწევებთან ერთად ჩვენს ადამიანებს უნდა აცნობდეს ჩრდილოეთ მხარეებსაც თვითეული ლექტორი, მომხსენებელი, აგიტატორი. პოლიტინფორმატორი უნდა ცდილობდეს ყურადღება გაამახვილოს აგრეთვე ოქტომბრის დიადი იდეები, მათი ისტორიული მონაპოვრები, შთამბეჭდავად არის ჩამოყალიბებული, დახასიათებული, გაანალიზებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“.

შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს მახარაძის რაიონის სოფელ ჯუმათის ძველმა კომუნისტებმა. მათ რაიონულ გაზეთ „ლენინის დროშის“ ფურცლებიდან მშრომელებს მოუწოდეს შეგვრიბით რევოლუციური წარსულისა და სოციალისტური მშენებლობის ისტორიის ამსახველი მასალები, ძველ რევოლუციონერთა მოგონებანი და მოეთავსებინათ ისინი საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილ სასოფლო მუზეუმებში. ინიციატივამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა. ძიმითის, ნატანების, განახლებისა და სხვა კოლმეურნეობათა მუზეუმებს ბევრი ხალხი ათვალიერებს, ეცნობა შეგროვილ საინტერესო მასალებს.

რა დიდი პერსპექტივები ისახება ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკების — ლექტორების, მომხსენებლების, პროპაგანდისტების, აგიტატორების, პოლიტინფორმატორების წინაშე, როცა საუბარზე თუ ლექციაზე, საოქტომბრო კითხვაზე თუ ლენინურ კითხვაზე, კითხვა-პასუხის საღამოზე თუ ზეპირი ჟურნალის საშუალებით მოუთხრობენ ჩვენს ადამიანებს ოქტომბრის მონაპოვრებზე, საბჭოთა ქვეყანაში მსხვილი სოციალისტური მრეწველობის შექმნაზე, სოფლის კოოპერირების ლენინური გეგმის განხორციელებაზე, შეცდომებსა და სიძნელეებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში. ეს მეტ დამაჯერებლობას შესძენს ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობას მასებში. მაგრამ როცა ჩარუმატებლობაზე, დანაკლისზე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი ზოგჯერ გარდუვალი იყვნენ, რადგან ჩვენ მივდიოდით ბაუკვალაყი გზით, გადალახვიტანეთ ბევრი სიძნელე.

დიდი ამოცანების გადასაწყვეტად წინასაიუბილეო მზადება უნარიანად იყენებს, მაგალითად, გორის ბამბეულის კომბინატის პარტიული კომიტეტი. მთავარი ის არის, რომ აქ წარმატებების გვერდით ჯერად ამჩნევენ ნაკლოვანებებსაც, ავლენენ გადაუჭრელ საკითხებს, სახადენ ღონისძიებებს მათ გადასაწყვეტად. ამ საქმეში აბამენ კომუნისტებს ხოლო როცა საბრძოლო ამოცანები გარკვეულია, ცხადია, მათი შესრულებისათვის ბრძოლაც უფრო ადვილი ხდება.

დიდია ჩვენი ხალხის მიერ განვლილი გზა, დიდია მისი გმირობა.

რა კეთილშობილური ამოცანაა ნათლად, გასაგებად მოუთხრო ადამიანებს ამ გმირული გზის ეტაპებზე, ხალხის დიად გმირობაზე, პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულ წარმატებებზე.

ახლა ყველგან კითხულობენ ლექციებს, მოხსენებებს, იმართება კითხვა-პასუხისა და თემატური საღამოები. ფართო გავრცელება მიიღო საოქტომბრო კითხვამ. რომელზეც პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ხელმძღვანელი მუშაკები გამოდიან მოხსენებებით ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებზე. მათი მიზანია დაეხმარონ თვითეულ ადამიანს ჩვენი გამარჯვების სიდიადის ნათლად წარმოდგენაში, საბჭოთა ქვეყნის გავლილი გზის გაგებაში.

ოქტომბრის მონაპოვართა მარადჩაუქრობელი ლამპარი, ყველაზე დიდი დამამშვენებელია ახალი ცამყარის, ახალი მრავლის ადამიანის ღაბადება

ვინ არის ეს ახალი ადამიანი? მაქსიმ გორკის ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ეს ახალი ადამიანი თავდაპირველად ცხოვრებით დაბეჩავებული იყო. მან გადაიტანა საპყრობილეები, გადასახლება, კატორღა, მოახდინა დიდი რევოლუცია. ეს ადამიანი შემდეგ ეწეოდა სამოქალაქო ომს, დაიცვა სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა დიდ სამამულო ომში და ახლა წარმატებით აშენებს კომუნიზმს. 50 წლის





ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲠᲔ-ᲔᲐᲠᲔᲨᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲜᲘ

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ. რაიონის მშრომელები დიდი ენთუზიაზმით ემზადებიან ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის იუბილესათვის. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს რაიონის კეთილმოწყობის სამუშაოები. დაბაში დამთავრდა 500 ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგურის მშენებლობა.

რაიონის მშრომელები იუბილეს დღეებში მიიღებენ კულტურის სახლის სამსართულიან შენობას 750 მაყურებლისათვის. იუბილეს მიეძღვნება დაბის ცენტრში 3,5 ჰექტარზე დაწყებული კულტურისა და დასვენების პარკის გაშენება.

სოფელ ნაფიჩხოვოში მარქსის სახელობის კოლმეურნეობის სასსრებით აშენდა საშუალო სკოლის შენობა 350 მოსწავლისათვის. პირველი სექტემბრიდან ახალ, ტიპურ საშუალო სკოლებში ისწავლიან ლესიჭინელი, ხაბუმელი და ზუმელი მოსწავლეები. წელს დამთავრდება 8-წლიანი სკოლების მშენებლობა ლეწურწუმში, თაიაში.

სოფელ კირცხში აშენდა უნივერსალური მაღაზია სპეციალიზებული სექციებით.

დიდი მუშაობაა გაჩაღებული სასოფლო გზების კეთილმოწყობისათვის. შეკეთდა ჩხოროწყუ-კირცხის, ნაფიჩხოვოს, ჭოღის, ნაკიანის გზები. დაბის ცენტრალურ ქუჩებში ასეულ მეტრზე დაიგრო კედრის ჯიშის მარადმწვანე მცენარეები. მოეწყო გაზონები, სკვერები.

მ. ᲥᲕᲐᲠᲪᲮᲐᲕᲐ.

ᲒᲐᲖᲘ — ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ. (საკ. კორ.). ოჯახებში მკვიდრდება გაზი, რომელიც ამსუბუქებს შრომას, ზოგავს დროს, შუშას და ბევრი ხერჩება მოუჭრელი.

რაიონის ათასამდე ოჯახში უკვე დგას გაზქურა. იგი განსაკუთრებით დამკვიდრდა სოფლების თერჯოლის, ჩხარის, კვახჭირის, ბარდუბნის, სიქთარვის მშრომელთა ყოფაცხოვრებაში.

ᲡᲘᲛᲐᲛᲐᲪᲔ

ᲔᲡ შემთხვევა ამას წინათ ფოთში მოხდა. ნაბადის უბანში, მალანიას ქუჩაზე, დღისით ელექტრომოძიდან მოწყვეტილ სადენში გაიხლართენ ვასილ დრიგა და ოლია ზემლიუკოვა. მათ უმალვე სცადეს მოეშორებინათ დენიანი მავთული, მაგრამ ამაოდ. გრძნობადაკარგულნი ტროტუართან დაეცნენ.

ეს ყველაზე ადრე იქვე მყოფმა გივი თოფურიამ შენიშნა. იგი საკუთარი სიცოცხლის რისკით მიიჭრა საბედისწერო ადგილთან და მოხერხებულად გამოსტაცა განწირული ადამიანები ელექტროსადენს, ადგილზევე გაუწია სათანადო დახმარება და ორივეს სიცოცხლე შეუნარჩუნა

Კ. ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ

ᲐᲒᲐᲨᲘᲜ რაიონის ზანათის საბჭოთა მეურნეობაში ამას წინათ გაიხსნა კეთილმოწყობილი მუშათა სასადილო. ახალი სასადილოს მომსახურებით ზანათელები კმაყოფილი არიან.

Ვ. ᲪᲝᲛᲐᲘᲐ.

ᲔᲜᲘᲡᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ. (საკ. კორ.). უკვე 24 წელია, რაც რესპუბლიკის საწარმოებსა და კოლმეურნეობებს კვალიფიციურ მძღოლებს, ტრაქტორისტებს, ზეინკლებს, ელექტრომემონტაჟერებს უზრდის ენისელის № 2 პროფტექნიკური სასწავლებელი. ახლა რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში ამ სკოლის 3.000-ზე მეტი აღზრდილი ქმნის სახალხო დოვლათს.

ახლად შეკეთებულ სასწავლებელში წელს 200 ახალგაზრდა შეუდგება ტექნიკური ცოდნის შეძენას.

ᲓᲐᲡᲐᲜᲐᲜᲘ ᲤᲠᲔ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (მინსკი) 1:1 (1:0). თბილისი. 11 აგვისტო. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი ა. ᲖᲛᲔᲠᲔᲕᲘ (ლენინგრადი).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — კოტრიკაძე, ცხოვრებოვი, რეხვიაშვილი, ხურცილავა, გ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, დათუნაშვილი (ჭელიძე), ასათიანი, მეტრეველი, ნოდია, მესხი; „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (მინსკი) — ანდრესი, რიომინი, ზარემბო, კანუნიკოვი, სავოსტიკოვი, არზამასცევი, ტოლეიკო, ადამოვი, გერკო (ვასილიევი), მალოფეევი, კაბერსკი.

ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ თავის უკანასკნელ ინტერვიუში მინსკის დინამოელთა უფროსი მწვრთნელი Ა. ᲡᲔᲕᲘᲓᲝᲕᲘ შეეხო პირველი წრის შედეგებს და კმაყოფილება გამოთქვა თავისი კოლექტივის თამაშზე, ამასთანავე ყველაზე დასანანად დაასახელა ცსკა-სთან და თბილისის „დინამოსთან“ დამარცხება. თუ რა ჰქონდა აქ მწვრთნელს მხედველობაში, ჩვენთვის გაუგებარია, ყოველ შემთხვევაში ამ სინანულის გამოსწორება მათ შეეძლოთ გუშინდელ მატჩში რევანშით.

შედგა თუ არა სტუმართათვის ესოდენ სასურველი რევანში? — არა. ახლა თბილისელებს შეუძლიათ სინანული გამოთქვან დაკარგულ ქულაზე, ფრეზე.

ყველა მომენტის ჩამოთვლას არ შევუდგებით, რადგან შესაძლებლობები, განსაკუთრებით პირველ ტაიმში ბევრი იყო, კარი კი თბილისელებმა მხოლოდ ერთხელ აიღეს,—41-ე წუთზე. მესხის ჩინებული მიწოდებით დათუნაშვილმა ეფექტური ბურთი გაიტანა.

და როცა მეორე ნახევარში მასპინძელთა რიგებში ირიშების განწყობილება შენელდა, მეტოქემ გააძლიერა წინა ხაზები. ჩვენს დაცვაში ბზარი გაჩნდა და გამრავლდა შეცდომები. ერთ-ერთ ასეთ შეცდომას 83-ე წუთზე ვასილიევის გოლი მოჰყვა — 1:1.

ეს ანგარიში უცვლელი დარჩა. საბოლოოდ ფრე.

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ შედგა საკავშირო ჩემპიონატის მეოცე ტურის კიდევ ექვსი მატჩი ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის.

ᲐᲛ ᲨᲔᲯᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡᲐᲜ ერთ-ერთ ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა მოსკოვის „სპარტაკისა“ და „ტორპედოს“ მატჩი. სპარტაკელებს, რომლებიც უკანასკნელ მატჩებში ოცმავლობით იბრძვიან, ტორპედოელებთან პირველ წრეში დამარცხებისათვის (1:3) რევანში სწყუროდათ. შეძლეს თუ არა მათ ეს? შეძლეს და საკმაოდ დამაჯერებლადაც — 6:2.

ᲨᲔᲠᲐᲓᲔᲑᲘᲡ ცენტრში იდგა აგრეთვე მატჩი დონის როსტოვში, სადაც ადგილობრივ არმიის სასპორტო კლუბის გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა სსრ კავშირის ჩემპიონი კიევის „დინამო“. ეს შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 0:0.

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი — დონეცკის „შახტიორი“ ოდესას ეწვია და აქ შეხვდა „ჩერნომორეცს“. წარმატება „ჩერნომორეცს“ ხვდა—2:1.

ᲑᲐᲥᲘᲡ „ნეფტჩანიკი“ მეოცე ტურის წინ თბილისის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორს“ სამი ქულით ჩამორჩებოდა, ხოლო მოსკოვის „სპარტაკს“ — ორი ქულით. ამიტომ ტაშკენტში „შახტაკორთან“ მატჩის შედეგს ბაქოელთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მეტოქეებმა ექვსი ბურთი გაიტანეს, მაგრამ წარმატება არცერთს არ ხვდა, ფრე — 3:3.

ᲚᲣᲒᲐᲜᲡᲙᲨᲘ თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ლუგანსკის „ზარიას“ გუნდები. აქაც ფრე — 1:1.

ᲥᲠᲘᲛᲘᲡᲘᲡ „არარატი“ ალმა-ატას ეწვია და აქ მატჩი ჰქონდა ადგილობრივ „კაირატთან“. შეხვედრა მოიგო „არარატმა“ 2:0.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ 12 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მ.)	20	12	7	1	38-11	31
„დინამო“ (კ.)	20	9	9	2	24-9	27
„დინამო“ (თბ.)	20	9	8	3	28-14	26
„სპარტაკი“ (მ.)	20	10	6	4	27-16	26
„შახტიორი“ (დ.)	20	8	9	3	25-23	25
„ნეფტიკი“. (ბ.)	20	8	7	5	33-20	23
„დინამო“ (მნ.)	20	7	8	5	29-21	22
„კრ. სოვ.“ (კუიბ.)	19	5	11	3	12-8	21
„ტორპედო“ (მ.)	20	8	4	8	23-25	20
სკა (როსტ.)	20	8	4	8	19-24	20
„ზარია“ (ლუგ.)	20	5	8	7	14-16	18
ცსკა	19	6	5	8	18-22	17
„არარატი“ (ერ.)	20	5	7	8	16-22	17
„პახტაკორი“ (ტ.)	20	3	10	7	18-22	16
„ტორპედო“ (ქ.)	20	4	8	8	19-27	16
„ლოკომოტ.“ (მ.)	20	4	6	10	14-22	14
„ჩერნომორ.“ (ო.)	20	4	6	10	13-28	14
„კაირატი“ (ალმ.)	20	3	7	10	14-30	13
„ზენიტი“ (ლ.)	20	5	2	13	14-38	12

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სპორტსმენები სსრ კავშირის ხალხთა მეოთხე საიუბილეო სპარტაკიადაზე. ᲨᲣᲠᲑᲗᲔᲑᲖᲔ (ზევით): მარცხნიდან — ქალთათვის 80 მეტრზე თარჯრბენის ფინალური გარბენი, წინა პლანზე სპარტაკიადის ჩემპიონი ლ. ᲘᲔᲕᲚᲔᲕᲐ (საქართველო); Ი. ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ ღერძზე ვარჯიშის დროს; საქართველოს გუნდს საზეიმოდ გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრიზები, რომლებიც ჩვენ სპორტსმენებს მოაქვთ ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე; ქვევით სპარტაკიადის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში Შ. ᲚᲝᲛᲫᲘᲫ.



ფოტო Ვ. ᲗᲐᲠᲒᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜ არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ საბჭოთა ჩოგბურთელების წამყვან ბირთვს, რომელსაც სათავეში უდგანან სსრ კავშირისა და სპორტაკიადის ჩემპიონები ა. **ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ** და ვ. **ᲩᲐᲥᲨᲔᲕᲘᲫᲔ**, წლიდან წლამდე თითქმის მოსვენება არა აქვთ. ერთ შეჯიბრებას მეორე ცვლის, საერთაშორისო ტურნირს ტურნირი, ახლახან კი ჩოგბურთელებმა დაამთავრეს სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული დიდი ასპარეზობა.

მაგრამ ყველაფერი ამით არ ამოწურულა. ტრადიცია კვლავ ძალაში რჩება, ჩვენს ჩოგბურთელებს არაერთი პასუხსაგები ასპარეზობა მოელით. ერთ-ერთ მთგანს წარმოადგენს მოსკოვის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელმაც „ოორდინატები შეიცვალა. ეს ტურნირი ჩვენი ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენელთა, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, ავსტრალიის, უნგრეთის, შვეიცის, რუმინეთის, ბულგარეთის, პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩოგბურთელთა მონაწილეობით გაიმართება თბილისში სექტემბრის შუა რიცხვებიდან.

გარდა ამისა, მოეწყობა საკავშირო მნიშვნელობის ორი ასპარეზობა — იუნიორთა პირადი პირველობა სოჭში და **Შ. ᲜᲘᲖᲛᲣᲜᲓᲘᲡ** მემორიალი — გუნდური თასის გათამაშება. რესპუბლიკათა, აგრეთვე საზოგადოებათა ნაკრები გუნდები გაემგზავრებიან ბულგარეთში, რუმინეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. საერთაშორისო მატჩებს გამართავს სსრ კავშირის ნაკრებიც.

ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ

„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ (ქუთაისი) — **„ᲜᲘᲜᲘᲫᲘ“** (ლენინგრადი) — 3:0 (1:0). ქუთაისი. 11 აგვისტო. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი Ბ. ᲚᲔᲠᲔᲜᲪᲘᲡᲘᲡ (რიგა).

„ᲜᲘᲜᲘᲫᲘᲡ“ პირველ წრეში საკუთარ მოედანზე მინიმალური ანგარიშით — 1:0 დაამარცხა ქუთაისის „ტორპედო“. ამიტომ, ტორპედოელები რევანშისათვის იყვნენ განწყობილნი.

მე-6 წუთზე ქუთაისელთა მიერ გათამაშებული ლამაზი კომბინაცია ხუცუშვილმა გოლით დაგვირგვინა.

მეორე ნახევარში მასპინძლები მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე „დასახლდნენ“. 50-ე და 63-ე წუთებზე ლენინგრადელთა კარი კვლავ გადარჩა აღებას, ხოლო ერთი წუთის შემდეგ შექმნილი არეულობით კარგად ისარგებლა ვეკუამ და თავური დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა. ამის შემდეგ სტუმრებმა, რომლებიც აქამდე უმეტესად დაცვაზე ფიქრობდნენ, შეტევა წამოიწყეს, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. შეტევაზე კვლავ ქუთაისელები არიან. 75-ე წუთზე ხუცუშვილის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა და უკან დაბრუნდა, რომელსაც დროზე მიუსწრო ჭითანავამ და ანგარიში სამამდე გაზარდა. მატჩიც საბოლოოდ ამავე ანგარიშით (3:0) დამთავრდა. „ტორპედომ“ აქტივში ორი ქულა ჩაიწერა.

Შ. ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

Ე. ᲒᲔᲚᲔᲠᲗᲘ — ᲡᲐᲛᲘᲜᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲥᲣᲚᲐ

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ქალაქ კრუშევოში გრძელდება „სოლდაროების საერთაშორისო ტურნირი“ ჭადრაკში ექვსი ქვეყნის 18 გროსმაისტერისა და ოსტატის მონაწილეობით. შემადგენლობა მეტად ძლიერია. დავასახელოთ თუნდაც რამდენიმე მათგანი — **Რ. ᲤᲘᲨᲔᲠᲘ, Ე. ᲨᲢᲔᲠᲘ, Რ. ᲮᲝᲚᲛᲝᲕᲘ, Მ. ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲕᲘᲩᲘ** და სხვები.

10 აგვისტომდე გათამაშდა სამი ტური, მოეწყო აგრეთვე გადადებული პარტიების დამთავრება. იუგოსლავი **ᲒᲣᲯᲘᲩ** მესამე ტურის გადადებულ პარტიაში ბრძოლის განუახლებლად დანებდა **ᲒᲔᲚᲔᲠᲗᲡ**, რომელსაც სამიდან სამი ქულა აქვს და ერთპიროვნულ ლიდერობას ინარჩუნებს. მეორე საბჭოთა გროსმაისტერს **ᲮᲝᲚᲛᲝᲕᲡ** და იუგოსლავ მოჭადრაკეებს — **ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲕᲘᲩᲡ** და **ᲛᲘᲜᲘᲩᲡ** ორნახევარი ქულა აქვთ თვითეულს. **ᲤᲘᲨᲔᲠᲛᲐ** მესამე ტურში მოუგო **ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲝᲕᲘᲩᲡ** (იუგოსლავია) და ექვს სხვა მონაწილესთან ერთად ქულანახევარი აქვს.

10 აგვისტოს გვიან საღამოს გაიმართა მეოთხე ტური.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

⊙ 10 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ დაიწყო მსოფლიოში ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე ლენინის პიკზე (პამირი, 7.134 მეტრი) მასობრივი ასვლა, რომელშიც მონაწილეობს 9 ქვეყნის 200-ზე მეტი ალპინისტი. მთამსვლელები მწვერვალზე დადგამენ უჟანგავი რკინისაგან ჩამოსხმულ ობელისკს, რომელიც დაპროექტებულია ცნობილი საბჭოთა ალპინისტის Ვ. ᲐᲑᲐᲙᲘᲜᲘᲡ მიერ. სწორედ ამ მწვერვალზე, პირველად 1934 წელს Ვ. ᲐᲑᲐᲙᲘᲜᲘᲡ ორ ამხანაგთან ერთად ავიდა და დადგა ᲡᲚᲘᲓᲘᲔᲠ ᲘᲚᲘᲐᲡ-ᲫᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ბიუსტი.

⊙ **ᲤᲣᲚᲘᲡ** ტრეკს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძველი და საუკეთესოა საბჭოთა კავშირში, 70 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით აქ მოეწყო ველმრბოლოთა ტურნირი. გიტში 1000 მეტრზე ადგილიდან სპარტაკიადის ჩემპიონმა ტულელმა **Ა. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ** აჩვენა დრო — 1 წუთი და 7,6 წამი და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. ეს შეჯიბრება მსოფლიო ჩემპიონატის წინ გენერალური რეპეტიციას წარმოადგენდა.

⊙ **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში თბილისის „ლოკომოტივს“ ჰქონდა სტუმრად ვროცლავში ადგილობრივ „დინამოსთან“. მოწინააღმდეგეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

⊙ **ᲡᲝᲚᲘᲓ-ᲚᲔᲝᲜᲘᲓ-ᲡᲘᲜᲝᲕᲘᲡ** ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე დღეს ჩვენს სპორტსმენებს მედლები არ მოუპოვებიათ. **ვ. ᲞᲝᲪᲐᲮᲕᲘᲚᲘ, ო. ᲪᲔᲪᲮᲚᲐᲫᲔᲛᲐ** და **ო. ᲜᲐᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ** წაეგეს წინასწარი შეხვედრები. ჩემპიონები გახდნენ იაპონელები — **ᲮᲘᲠᲝᲡᲘ ᲛᲘᲜᲐᲢᲝᲐ** (ქვესაშუალო წონა) და **ᲘᲔᲒᲘ ᲛᲐᲠᲣᲘ** (საშუალო წონა). ასპარეზობის წინ სპორტსმენებმა და მაყურებლებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს ცნობილი ძიუდოისტის **Ფ. ᲩᲘᲥᲕᲘᲚᲐᲫᲘᲡ** ხსოვნას.

ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲔᲑᲘ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲜᲔᲜ

ᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲘᲗᲘᲡ მხარის ჩრდილოეთ ნაწილში კოკისპირული წვიმების შედეგად ადიდდა იმანის აუზის მდინარეები. წყლის დონე აგვისტოს დამდეგისათვის 7 მეტრით ამაღლდა. წყალმა ნაპირები წალეკა და უბედურება დაატეხა თავს ვრცელ რაიონს.

გამძვინვარებული სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ადამიანებისა და სახელმწიფო ქონების გადარჩენაში მოქალაქეებთან და სოფლის მცხოვრებლებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს მესაზღვრეებმა. ეს განუცხადეს საკდესის კორესპონდენტს სასაზღვრო ჯარების მთავარ სამმართველოში. გახსენეს რა იმანვაჭრობის ბაზა, მათ დატბორვისაგან გადაარჩინეს სასურსათო და სამრეწველო საქონელი, რომლის ღირებულება 1.300 ათას მანეთს აღემატებოდა. იმანის ჩრდილოეთ ნაწილში მესაზღვრეებმა ჯებირი ააშენეს, რომელიც ჩაჯარეს და დატკეპნეს 8 ათასზე მეტი კუბური მეტრი გრუნტი, 50 ათასი ტომარა მიწა. ამის მეოხებით წყლისაგან დაცულია პურ-ფიფუთუშეულის კომბინატი, ნავთობის ბაზა და სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტები.

ერისუოლოვნად მუშაობდნენ მესაზღვრენი ზოგიერთ სხვა ადგილშიც. გარდა ამისა, რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში მათ უზრუნველყვეს პურის გამოცხობა იმანისა და რაიონის მოსახლეობისათვის.

მძიმე კვირაში — ორიდან რვა აგვისტომდე მესაზღვრეებმა ნამდვილი ვაჟკაცობა გამოიჩინეს. კარი ორგანიზატორული თვისებანი ცხადყვეს ოფიცრებმა — კომუნისტებმა მ. ბონდარმა, მ. ნებილიცამ, პ. კოსინოვმა, ა. შიკირომა, ა. ლევკოვიჩმა. სამი დღე-ღამის განმავლობაში შეუსვენებლად მუშაობდნენ ავტოთვითმცლელების მძღოლები სერჟანტები ვ. ეპიხანოვი, ნ. საული, რიგითი მებრძოლები ვ. მუსუხრანოვი, მ. პიტაევი, ვ. ლიტიუშკინი, ა. შესტაკოვი, ბულდოზერისტი ვ. სიმაკი. თავი გამოიჩინეს აგრეთვე უმცროსმა სერჟანტებმა ნ. კაშინმა, ვ. მაკატაშკინმა, რიგითმა მებრძოლებმა ო. დურეევმა, პ. ჩუკანოვმა, ვ. სოტნიკოვმა და ბევრმა სხვამ. უნაკლოდ მოქმედებდა ვერტმფრინავის ეკიპაჟი ოფიცერ ი. ანტიპოვის მეთაურობით.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, საწარმოთა დირექტორებმა მაღალი შეფასება მისცეს მესაზღვრეთა დახმარებას. ვინც თავი გამოიჩინა დაჯილდოვდებენ.

(საკდესის კორ.).

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

12 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

11.45 — კინონარკვევი, 12.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ვახტანგოვი“. 13.30 — მოსწავლეთათვის „ტყავის ბურთის პრიზზე“—ნორჩ ფეხბურთელთა ფინალური ტურნირის გახსნა (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 —ბავშვებისათვის „ცეროდენას ეკრანი“, 17.20 — კინოს ისტორიიდან „ჩვენი თანატოლები ეკრანზე“, 18.00 — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა, 18.20 — სატელევიზიო ჟურნალ „ირმის ნახტომის“ სპეციალური გამოშვება, 19.30 — „ცისფერ ეკრანზე“, მიძღვნილი ფიზკულტურის დღისადმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — გადაცემა „ეთნოს თვალით“, 21.05 — „ახალი ამბები“ (ქართული და რუსული ენებზე), 21.25 — მხატვრული ფილმი „მწვანე შუქი“.

ᲛᲔᲝᲩᲔᲠᲘ ᲐᲠᲮᲘᲗ — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 13 ს. 25 წ.

13 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

09.30 — ლექცია — „ქსელოვანი დაგეგმვა და მართვა მშენებლობაში“, 11.00 — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „გოგონა ბურთზე“, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა, საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — კინონარკვევი, 17.45 — სატელევიზიო სატირული ჟურნალი „ულენგატორი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კონცერტი მშენებელთა დაკვეთით, 18.55 — კინონარკვევი, 19.20 — გადაცემა — „ფოთის კულტურული ცხოვრება“, 20.20 — კინონარკვევი, 20.35 — „მუსიკალური სუვენირები“ — სესტრადო გასართობი პროგრამა (ეძღვნება ბიჭვინთის მშენებლებს), 21.40 — ქართული კინოკომედია „დაკარგული სამოთხე“, 22.55 — გადაცემათა პროგრამა 14 აგვისტოსათვის, 23.00 — საკვირაო გასართობი პროგრამა (გადმოცემა ბერლინიდან).

ᲛᲔᲝᲩᲔᲠᲘ ᲐᲠᲮᲘᲗ — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დილის 11 საათიდან.

ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘᲡᲗ, ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘᲡᲗᲘᲡᲗᲘᲡ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Დ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9 93 03, 9 03 09, პ/მგ მდივნის — 9-72 80 სამდივნოსი — 9 66-10 განუყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 8 22 93, მრეწველობის — 3 20 34, სოფლის მეურნეობის — 9 52 46 საბჭოთა მშენებლობის — 3 18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9 73 24 ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-93-96.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 03335 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1